**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**
**ხელშეკრულება №** 010407/10/370-1

**ქ. თბილისი** **15 ნოემბერი 2011 წელი**

ერთის მხრივ ქ. თბილისის მერია (შემდგომში – შემსყიდველი), ქ. თბილისის მერის მოადგილის ტარიელ ხიზანეიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი", (შემდგომში – მიმწოდებელი) მისი სპეციალური მმართველის ანა თაქთაქიშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## მუხლი I. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1. ხელშეკრულების საგანია ქ. თბილისის ბიუჯეტის სახსრებით, ქ. თბილისში, გლდანის მე-7 მ/რ-ში მდებარე სასჯელაღსრულების №8 საპატიმრო დაწესებულების საზოგადოებრივი მისაღებისათვის გაზმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის კანონის მე-$10^1$ მუხლის III პუნქტის ბ ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (2011 წლის 11 ნოემბრის 10-18/9664 წერილი).
1.2. ხელშეკრულების ობიექტია: ქ. თბილისში, გლდანის მე-7 მ/რ-ში მდებარე სასჯელაღსრულების №8 საპატიმრო დაწესებულების საზოგადოებრივი მისაღებისათვის გაზმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები.
1.3. კლასიფიკატორის კოდი: **45300000.**

## მუხლი II. ხელშეკრულების ობიექტის ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრა ლარში.
2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **8864.22** (რვა ათას რვაასსამოცდაოთხი ლარი და 22 თეთრი) ლარს, ყველა გადასახადის ჩათვლით.
2.3. შესასრულებელი სამუშაოების მოცულობისა და ღირებულების დეტალური აღწერა თან ახლავს წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

## მუხლი III. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ შესრულებული სამუშაოების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.
3.2. სამუშაოების განხორციელებისას დაცული უნდა იყოს ტექნიკური და უსაფრთხოების დადგენილი ნორმები და წესები.

## მუხლი IV. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა: **ხელშეკრულების გაფორმებიდან 2011 წლის 30 ნოემბერი.**
4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი: ქ. თბილისში, გლდანის მე-7 მ/რ-ში მდებარე სასჯელაღსრულების №8 საპატიმრო დაწესებულება.

1044
24 11 11

## მუხლი V. თანმდევი მომსახურება

5.1. მიმწოდებელმა სამუშაოს დასრულების შემდეგ, თავისი ძალებითა და სახსრებით უნდა გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან, ასევე სამშენებლო ნარჩენებისაგან.

## მუხლი VI. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება

6.1. სამუშაოთა მიღება-ჩაბარება განხორციელდება თანახმად ტექნიკური პირობებისა, მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესებით განსაზღვრული აქტების საფუძველზე.
6.2. ობიექტი ჩაბარებულად ჩაითვლება განაწილების ლიცენზიანტის მიერ ობიექტის ექსპლატაციაში ჩაბარებისა ან/და აბონენტად დარეგისტრირების შემდეგ, მხარეთა მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე.
6.3. გაზგამანაწილებელი ქსელის სამონტაჟო სამუშაოები ჩაბარებულად ჩაითვლება ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მიხედვით, მხარეთა მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე.
6..4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ:
ა) ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის, შესაბამისი რაიონული გამგეობების თანამშრომელ(ებ)ი.

## მუხლი VII. ანგარიშსწორება

7.1. შესრულებული სამუშაოების ანგარიშსწორება განხორციელდება 2011 წლის ქ. თბილისის ბიუჯეტით, მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან **არაუგვიანეს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;**
7.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.
7.3. შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარში.

## მუხლი VIII ფასები

8.1 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
8.2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

## მუხლი IX. მხარეთა უფლება-მოვალეობები

9.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.
9.2. შემსყიდველი ვალდებულია:
9.2.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
9.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოების წარმოშობის შესახებ;
9.2.3. გადასცეს მიმწოდებელს გაზგამანაწილებელი ქსელის მონტაჟისათვის საჭირო პროექტები.
9.2.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

9.2.5. წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.
9.3. შემსყიდველს უფლება აქვს:
9.3.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;
9.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
9.4.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
9.4.2. სამუშაოების შესასრულებლად აუცილებელი მასალების, აღჭურვილობათა და მექანიზმების მიწოდება უზრუნველყოფილი უნდა იქნას მიმწოდებლის მიერ საკუთარი შესაძლებლობებით და რესურსებით და მიმწოდებელი პასუხისმგებელი უნდა იყოს აღნიშნული მასალების, აღჭურვილობის და მექანიზმების უსაფრთხოებაზე. ხსენებული მასალების დაკარგვის ან გაუმართაობის შედეგად გამოწვეული რისკი ეკისრება მიმწოდებელს.
9.4.3. მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში მათ მიღებამდე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.
9.4.4. მიმწოდებელი საქართველოში ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონების და ნორმების შესაბამისად ვალდებულია მიიღოს უსაფრთხოების აუცილებელი ზომები მშენებლობის ზონაში ხანძრის გაჩენის და აფეთქების თავიდან ასაცილებლად.
9.4.5. ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე დაუშვას შემსყიდველი და მისი წარმომადგენლები სამუშაო ობიექტზე.
9.4.6. გაზგამანაწილებელი ქსელის სამონტაჟო სამუშაოები დაიწყოს დაუყოვნებლივ შემსყიდველის მიერ გაზგამანაწილებელი ქსელის მონტაჟისათვის საჭირო პროექტის მიწოდებისთანავე.
9.4.7. სამუშაოების დასრულების შემდეგ 1 (ერთი) წლის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია მათი მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით;
9.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:
9.5.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება;

## მუხლი X. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
10.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.
10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## მუხლი XI. უფლებების გადაცემა

11.1. მიმწოდებელს შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არა აქვს უფლება მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები მესამე პირს.
11.2. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი განცხადება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების ან მათი ნაწილის მესამე პირისათვის გადაცემის თაობაზე, აგრეთვე მესამე პირის წერილობითი თანხმობა იკისროს მიმწოდებლის აღნიშნული უფლება-მოვალეობები.

11.3. შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში უფლება-მოვალეობების გადაცემა (მთლიანად ან ნაწილობრივ) ფორმდება წერილობითი სახით შემსყიდველსა, მიმწოდებელსა და მესამე პირს შორის.

## მუხლი XII. სუბკონტრაქტორები

12.1. ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადებარე ხელშეკრულების დამატების სახით.

12.2. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

12.3. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

## მუხლი XIII. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავის გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

13.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

## მუხლი XIV. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1. თუ მიმწოდებელი გადააცილებს შემსყიდველის მიერ მითითებულ შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულების **0,1**%-ის ოდენობით;

14.2. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3. თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.1 პუნქტის მოთხოვნებს, დაეკისრება პირგასამტეხლო ჩასარიცხი თანხის **0,1**%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

## მუხლი XV. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

15.1. შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება და აამოქმედოს მე-16 მუხლში ხსენებული საბანკო გარანტია, ასევე დააკისროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად:

ა) თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

ბ) თუ მიმწოდებელი სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

გ) იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების **1%-ს;**

დ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ე) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
15.2. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება:
ა)თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს სამუშაო ან მისი ნაწილი;
ბ)თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.
15.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
15.4. მე-15 მუხლის 15.1 და 15.2 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

## მუხლი XVI. ფორს-მაჟორი

16.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
16.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
16.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
16.4. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

## მუხლი XVII. სადაო საკითხების გადაწყვეტა

17.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვაროონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა გარემოების ირგვლივ.
17.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

## მუხლი XIII. გამოყენებული სამართალი

18.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

## მუხლი XIX. შეტყობინება

19.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
19.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

## მუხლი XX. გადასახადები და დაბეგვრა

20.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

## მუხლი XXI. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

21.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და **ძალაშია 2012 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.**

## მუხლი XXII. სხვა პირობები

22.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
22.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.
22.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
22.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
22.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

## მუხლი XXIV. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

| | |
|---|---|
| **შემსყიდველი:**<br>**ქ. თბილისის მერია** | **მიმწოდებელი:**<br>**შპს "ყაზტრანსგაზ-თბილისი"** |
| **ტარიელ ხიზანეიშვილი**<br>**მერის მოადგილე** | **ანა თაქთაქიშვილი**<br>**სპეციალური მმართველი** |
| ქ. თბილისის მერია<br>ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7<br>სს "ლიბერთი ბანკი"<br>ბანკის კოდი: LBRTGE22<br>საიდ. კოდი: 204521794<br>ა/ა: **GE95LB0125152101627000** | შპს "ყაზტრანსგაზ-თბილისი"<br>ქ. თბილისი, მიცკევიჩის 18ა<br>სს "საქართველოს ბანკი"<br>ბანკის კოდი: BAGAGE22<br>საიდ. კოდი: 205129617<br>ა/ა: GE 85 BG 0000000 148541200 |

ქ. თბილისში, გლდანის VII მ/რ-ში მდებარე სასჯელაღსრულების №8 საპატიმრო დაწესებულების საზოგადოებრივი მისაღების მშენებარე შენობის გაზმომარაგება

## ხარჯთაღრიცხვა

| № | სამუშაოს დასახელება | განზ. ერთ. | რაოდენობა | მასალები | | ხელფასი | | მანქანა მექანიზმები | | მთლიანი ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ერთ. ფასი | ჯამი | ერთ. ფასი | ჯამი | ერთ. ფასი | ჯამი | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
| 1 | ასფალტის საფარის აყრა | $მ^3$ | 0,54 | | 0,00 | 20,00 | 10,80 | 3,68 | 1,99 | 12,79 |
| 2 | ბეტონის საფარის აყრა | $მ^3$ | 0,30 | | 0,00 | 20,00 | 6,00 | 3,68 | 1,10 | 7,10 |
| 3 | გრუნტის დამუშავება ექსკავატორით ა/თვითმცლელებზე დატვირთვით | $მ^3$ | 36,00 | | 0,00 | | 0,00 | 1,40 | 50,40 | 50,40 |
| 4 | გრუნტის დამუშავება ხელით ტრანშეიში | $მ^3$ | 4,00 | | 0,00 | 6,44 | 25,76 | | 0,00 | 25,76 |
| 5 | გრუნტის ა/თვითმცლელებზე დატვირთვა ხელით | $მ^3$ | 4,00 | | 0,00 | 3,78 | 15,12 | | 0,00 | 15,12 |
| 6 | გრუნტის გატანა | ტ | 29,25 | | 0,00 | | 0,00 | 8,24 | 241,02 | 241,02 |
| 7 | ქვიშის ბალიშის მოწყობა | $მ^3$ | 12,00 | 30,25 | 363,00 | 5,63 | 67,56 | | 0,00 | 430,56 |
| 8 | ტრანშეის შევსება ბალასტით | $მ^3$ | 3,00 | 15,40 | 46,20 | 3,78 | 11,34 | | 0,00 | 57,54 |
| 9 | გრუნტის უკუჩაყრა | $მ^3$ | 25,00 | | 0,00 | 3,78 | 94,50 | | 0,00 | 94,50 |
| 10 | პოლიეთილენის მილი **d-63** | მ | 117,00 | 2,70 | 315,90 | 3,72 | 435,24 | 0,14 | 16,38 | 767,52 |
| 11 | პოლიეთილენის ქურო **d-63** | ც | 22,00 | 9,30 | 204,60 | 3,72 | 81,84 | 0,14 | 3,08 | 289,52 |
| 12 | პოლიეთილენის მუხლი **d=63** | ც | 5,00 | 16,20 | 81,00 | 3,72 | 18,60 | 0,14 | 0,70 | 100,30 |
| 13 | პოლიეთილენის ფოლადზე გადამყვანის მონტაჟი **d63Xd50** | ც | 2,00 | 144,10 | 288,20 | 3,72 | 7,44 | 0,48 | 0,96 | 296,60 |
| 14 | სასიგნალო ლენტა | მ | 115,00 | 0,40 | 46,00 | 0,30 | 34,50 | | 0,00 | 80,50 |
| 15 | ღორღის საფუძველის მოწყობა | $მ^2$ | 3,60 | 6,40 | 23,04 | 3,78 | 13,61 | 0,36 | 1,30 | 37,94 |
| 16 | ასფალტო ბეტონის საფარის მიწყობა | $მ^2$ | 3,60 | 26,60 | 95,76 | 7,00 | 25,20 | | 0,00 | 120,96 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17 | ღორღის საფუძველის მოწყობა | $მ^2$ | 1,50 | 6,40 | 9,60 | 3,78 | 5,67 | 0,36 | 0,54 | 15,81 |
| 18 | ბეტონის საფარის მიწყობა | $მ^3$ | 0,30 | 214,00 | 64,20 | 36,39 | 10,92 | 3,07 | 0,92 | 76,04 |
| 19 | გაზსადენის მონტაჟი **d=50** | გმ | 15,00 | 7,40 | 111,00 | 4,00 | 60,00 | 0,22 | 3,30 | 174,30 |
| 20 | გაზსადენის მონტაჟი **d=25** | გმ | 1,00 | 4,10 | 4,10 | 2,00 | 2,00 | 0,22 | 0,22 | 6,32 |
| 21 | გაზსადენის მონტაჟი **d=20** | გმ | 2,00 | 3,30 | 6,60 | 2,00 | 4,00 | 0,22 | 0,44 | 11,04 |
| 22 | ფოლადის მუხლი **d-50** | ც | 3,00 | 6,50 | 19,50 | 4,00 | 12,00 | 0,28 | 0,84 | 32,34 |
| 23 | ურდულის მონტაჟი **d 50** | ც | 1,00 | 101,50 | 101,50 | 10,00 | 10,00 | 0,42 | 0,42 | 111,92 |
| 24 | მილტუჩის დაყენება **d 50** | კომპ | 4,00 | 7,03 | 28,12 | 10,00 | 40,00 | 0,99 | 3,96 | 72,08 |
| 25 | ონკანი **d-50** | კომპ | 2,00 | 75,40 | 150,80 | 5,41 | 10,82 | 0,42 | 0,84 | 162,46 |
| 26 | ონკანი **d-20** | კომპ | 1,00 | 10,40 | 10,40 | 5,41 | 5,41 | 0,42 | 0,42 | 16,23 |
| 27 | გარცმის მილი **d=100** | გმ | 23,20 | 16,25 | 377,00 | 7,50 | 174,00 | 0,57 | 13,22 | 564,22 |
| 28 | გარცმის **d-100** მილების ძლიერგაძლიერებული იზოლაცია | მ | 23,20 | 7,04 | 163,33 | 1,40 | 32,48 | 0,32 | 7,42 | 203,23 |
| 29 | გარცმის მილში მილის გატარება | მ | 23,20 | 3,50 | 81,20 | 3,00 | 69,60 | | 0,00 | 150,80 |
| 30 | გარცმის მილის ბოლოების ამოქოლვა | ც | 1,00 | 6,75 | 6,75 | 7,21 | 7,21 | | 0,00 | 13,96 |
| 31 | მრიცხველი **G-16T** (კარადით) | ც | 1,00 | 678,00 | 678,00 | 15,70 | 15,70 | | 0,00 | 693,70 |
| 32 | გაზის წნევის რეგულატორი **GS 64-22** (20 მ3 ) (კომპლექტში) | კომპ | 1,00 | 254,24 | 254,24 | 25,80 | 25,80 | 6,00 | 6,00 | 286,04 |
| 33 | კაუჭების მონტაჟი | კგ | 1,00 | 3,21 | 3,21 | 0,31 | 0,31 | | 0,00 | 3,52 |
| 34 | მილების გამოცდა | მ | 135,00 | | 0,00 | 1,09 | 147,15 | 0,13 | 17,55 | 164,70 |
| 35 | მილების შეღებვა | $მ^2$ | 3,00 | 0,70 | 2,10 | 1,21 | 3,63 | 0,00 | 0,00 | 5,73 |
| | **ჯამი** | | | | **3535,35** | | **1484,20** | | **373,03** | **5392,58** |
| | სატრანსპორტო ხარჯები (მასალებზე) | % | 4,00 | | 141,41 | | | | | 141,41 |
| | ჯამი | | | | | | | | | 5534,00 |
| | ზედნადები ხარჯები | % | 12,00 | | | | | | | 664,08 |
| | ჯამი | | | | | | | | | 6198,07 |
| | მოგება | % | 10,00 | | | | | | | 619,81 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ჯამი | | | | | | | | | 6817,88 |
| | გაუთვალისწინებელი ხარჯები | % | 3,00 | | | | | | | 204,54 |
| | ჯამი | | | | | | | | | 7022,42 |
| | საპროექტო სამუშაოები | | | | | | | | | 415,25 |
| | ჯამი | | | | | | | | | 7437,67 |
| | ტექნიკური ზედამხედველობა | % | 1,00 | | | | | | | 74,38 |
| | ჯამი | | | | | | | | | 7512,05 |
| | დ.ღ.გ. | % | 18,00 | | | | | | | 1352,17 |
| | **სულ** | | | | | | | | | **8864,21** |

ქ. თბილისის მერია
მერის მოადგილე

ტარიელ ხიზანეიშვილი

შპს "ყაზტრანსგაზ-თბილსი"
სპეციალური მმართველი

ანა თაქთაქიშვილი

შეთანხმებულია:

გ. ყოჩიაშვილთან

ა. თაბუაშვილთან

ვ. გვათუასთან

# ხელწერილი

## ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

15 ნოემბერი, 2011 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ ქ. თბილისში, გლდანის მე-7 მ/რ-ში მდებარე სასჯელაღსრულების №8 საპატიმრო დაწესებულების საზოგადოებრივი მისაღებისათვის გაზმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

*ქ. თბილისის მერის მოადგილე*

ტარიელ ხიზანეიშვილი -

*ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსი*

ალექსი თაბუაშვილი -

*ქ. თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი*

ვალერიან გვათუა -

*ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსი*

გიორგი ყოჩიაშვილი -

*ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე*

ლევან ჩალაძე -

*ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი*

მურთაზ ხარჩილავა –